დანართი 2

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

22.04. 2026 წელი,ბრძ N 10

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი და დებულების რეგულირების სფერო

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და ანიჭებს მათ შესაბამის კვალიფიკაციას.

2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის სტატუსს, მიზნებს, ამოცანებსა და კომპეტენციის სფეროებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს.

3. ფაკულტეტი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებების, დეკლარაციებისა და კონვენციების, აგრეთვე "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

4. ფაკულტეტს აქვს ბეჭედი, სატიტულო ფურცელი და საკონტაქტო ელ-ფოსტა. სატიტულო ფურცელზე ხელს აწერს დეკანი საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის რეგულაციებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით.

5. ფაკულტეტი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

6. ფაკულტეტის შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 2. ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები

1. ფაკულტეტის მიზნებია:

ა) მუდმივად პროგრესირებად საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისი შინაარსისა და სტრუქტურის ხარისხიანი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული კურიკულუმების შემუშავება და შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლებით უზრუნველყოფა;

ბ) სტუდენტებისა და ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისთვის სათანადო პირობების შექმნა სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის, სასწავლო-სამეცნიერო მუშაობისათვის პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;

გ) პიროვნების ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შიდა და საგარეო შრომის ბაზრისთვის, აგრეთვე ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

დ) უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

2. ფაკულტეტის ამოცანებია:

ა) სტუდენტზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს, ასევე სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა;

ბ) სასწავლო პირობების გაუმჯობესებაზე მუდმივად ზრუნვა;

გ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებისა და ფაკულტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა, კვლევის შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში;

დ) სტუდენტებისათვის კვლევების განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა;

ე) სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ინიციატივების/პროექტების მხარდაჭერა;

ვ) ფაკულტეტის ცნობადობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

ზ) განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია და მობილობის გაფართოება;

თ) ეთიკისა და ქცევის ნორმების გაცნობა და მათი დაცვის წახალისება;

ი) ფაკულტეტის მართვაში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვის უზრუნველყოფა;

კ) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მიზნებიდან გამომდინარე სხვა ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელება.

თავი II

ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა

მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა

1. ფაკულტეტის მართვის ორგანო/სუბიექტია:

ა) ფაკულტეტის საბჭო;

ბ) ფაკულტეტის დეკანი.

2. ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების განხორციელების მიზნით, ფაკულტეტის შემადგენლობაში სტრუქტურული ქვედანაყოფის სახით შეიძლება ასევე შედიოდეს სასწავლო - სამეცნიერო და/ან სამეცნიერო - კვლევითი ერთეულები (ცენტრი/ინსტიტუტი). ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო. ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება სასწავლო და/ან სამეცნიერო - კვლევითი ერთეულების დებულებით.

3. ფაკულტეტზე განხორციელებადი პროგრამების მრავალფეროვნების, სტუდენტთა დიდი რაოდენობის ან სხვა ობიექტური საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

4. ფაკულტეტის დეკანის მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.

5. ფაკულტეტს, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძლება ჰყავდეს სპეციალისტი/სპეციალისტები, რომელსაც/რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინებით. მათი ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

6. ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, მათი თანამდებობაზე არჩევის/დანიშვნის წესი და უფლება-მოვალეობები განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობა

1. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა შეადგენს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ერთ მეოთხედს. იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური პერსონალის რიცხვი 4-ის ჯერადი არ არის, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობის განსაზღვრისას დამრგვალება მოხდება სტუდენტების სასარგებლოდ.

2. ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალად ითვლება ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმებული პირი.

3. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების არჩევის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით.

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერება და შეწყვეტა

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა) უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების ან სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისას;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს წევრი ხდება ის სტუდენტი, რომელმაც არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითმართველობა აირჩევს ახალ წარმომადგენელს არაუგვიანეს ერთი თვისა უფლებამოსილების შეწყვეტიდან.

3. ფაკულტეტის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება:

ა) ერთ თვეზე მეტი ხნით ავადმყოფობის ან შვებულებაში გასვლის შემთხვევაში, თუ მოკლებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას;

ბ) ერთ თვეზე მეტი ხნით სასწავლო ან სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას ან სხვა გარემოების არსებობისას, რაც შეუძლებელს ხდის მის მონაწილეობას საბჭოს სხდომებში.

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ა) დეკანის წარდგინებით განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს ფაკულტეტის სტრუქტურას, დებულებას, მასში შესატან ცვლილებებსა და დამატებებს;

ბ) განიხილავს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ, რომელსაც წარუდგენს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი რეაგირებისთვის.

გ) უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას, მასში განსახორციელებელ ცვლილებებსა და დამატებებს და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

დ) განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საკითხს და საკუთარ გადაწყვეტილებას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს საბოლო გადაწყვეტილების მიღების მიზნით;

ე) ამტკიცებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას, შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;

ვ) განსაზღვრავს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის კოეფიციენტებს, ასევე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტთან კოორდინირებით და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;

ზ) მაგისტრანტობისა და დოქტორანტობის კანდიდატებისთვის შეიმუშავებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების ფორმატს;

თ) ხელს უწყობს სწავლებისა და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებას;

ი) იღებს გადაწყვეტილებას აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურების - ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის - დამთავრებისას პირისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე;

კ) უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს საპატიო დოქტორის და სხვა ჯილდოების მისანიჭებლად;

ლ) განიხილავს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტი წევრების კანდიდატურებს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად;

მ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი

1. ფაკულტეტის საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმის წარმოებას ახორციელებს საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, დეკანის წარდგინებით, ღია კენჭისყრით, საბჭოს სხდომაზე.

2. საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა-შენახვას;

ბ) ამზადებს წერილებისა და საბჭოზე განსახილველი საკითხების პროექტებს;

გ) ამზადებს საბჭოს სხდომებს;

დ) უზრუნველყოფს დოკუმენტების გამრავლებას;

ე) აწარმოებს საბჭოს არქივს.

მუხლი 8. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. ფაკულტეტის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ერთხელ.

2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – დეკანის მოადგილე ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ერთ-ერთი წევრი.

3. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს ესწრებიან ფაკულტეტის საბჭოს წევრები.

4. ფაკულტეტის პერსონალს უფლება აქვს დაესწროს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

5. სხვა, დაინტერესებულ პირთა მხრიდან ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასწრების სურვილის შემთხვევაში, მათი დაშვების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო.

6. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოებას. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მდივნის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ უმრავლესობით არჩეული საბჭოს ნებისმიერი წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან.

7. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს ამზადებს საბჭოს მდივანი საბჭოს თავმჯდომარის მითითებით. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივნისათვის დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება წერილობით. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თარიღამდე 3 დღით ადრე აცნობებს ფაკულტეტის საბჭოს წევრებს სხდომის დღის წესრიგის პროექტს.

8. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს.

9. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მოწვევის უფლება აქვს დეკანს ან ფაკულტეტის საბჭოს არანაკლებ 4 წევრს საბჭოს თავმჯდომარისათვის შესაბამისი დასაბუთებული წერილობითი მიმართვის გზით.

10. ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასში მონაწილეობს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

11. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.

12. ფაკულტეტის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, ამ მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა იანგარიშება ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობიდან უფლებამოსილებაშეჩერებულ წევრთა რიცხვის გამოკლებით.

13. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია, გარდა კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ფაკულტეტის საბჭოს არანაკლებ 3 წევრს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

14. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი წევრი/წევრები სხდომის მუშაობაში შეიძლება მონაწილეობდეს/ნენ ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს წევრის/წევრების ვიზუალური და აუდიო იდენტიფიცირება.

მუხლი 9. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ფაკულტეტის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე ან საბჭოს მიერ განსაზღვრული პირი) და მდივანი.

2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები ინახება ფაკულტეტის დეკანის მიერ არანაკლებ 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობებში წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი.

2. ფაკულტეტს დეკანი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

3. ფაკულტეტის დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით.

4. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს დეკანის მოადგილე ან/და უნივერსიტეტის რექტორის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული სხვა პირი.

მუხლი 11. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობები და უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი:

ა) უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხიან ადმინისტრირებას;

ბ) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას;

გ) ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, წლიურ ანგარიშს;

დ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის სტრუქტურასა და დებულებას, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს;

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების შესრულებაზე;

ვ) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ზ) უნივერსიტეტის რექტორს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს დეკანის მოადგილესა და ფაკულტეტის პერსონალის კანდიდატურებს;

თ) განიხილავს და ადგენს ფაკულტეტზე აკადემიური კონკურსის ჩატარების საჭიროებას და წარუდგენს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი რეაგირებისთვის;

ი) განიხილავს და ადგენს საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული სპეციალისტების საჭიროებას და წარუდგენს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს შემდგომი რეაგირებისთვის;

კ) ახორციელებს ფაკულტეტის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებების ინიცირებასა და ხელმძღვანელობისთვის/ფაკულტეტის საბჭოსთვის წარდგენას;

ლ) ამტკიცებს სტუდენტთა საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს;

მ) ამტკიცებს სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

ნ) სასწავლო და სამეცნიერო პროცესის საჭიროების შესაბამისად, ამყარებს კავშირს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, თავისი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში;

ო) კოორდინაციას უწევს ფაკულტეტზე სასწავლო ცხრილების ფორმირების პროცესს;

პ) ახორციელებს ფაკულტეტის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილებასა და მათ მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებაზე კონტროლს;

ჟ) უზრუნველყოფს ყოველი სემესტრის დასაწყისში აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის შედგენაზე კონტროლს;

რ) აკონტროლებს ფაკულტეტზე სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემების დამუშავების პროცესს;

ს) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ფაკულტეტის ადმინისტრირებისა და სასწავლო პროცესების საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ აქტებს;

ტ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერს ცნობებს სტუდენტის სტატუსის ან/და აკადემიური მიღწევების შესახებ;

უ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12. სადისერტაციო საბჭო

1. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება შესაბამისი სწავლის სფეროს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ფაკულტეტის ყველა პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორისაგან.

2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში სადისერტაციო საბჭოს წევრებად შეიძლება შეყვანილ იქნენ შესაბამისი სწავლის სფეროს წარმომადგენლები/სპეციალობის მქონე პირების წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან.

3. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად, რომელსაც ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

თავი III

ფაკულტეტის ბიუჯეტი

მუხლი 13. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

2. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, ფაკულტეტი მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემუშავების პროცესში.

თავი I V

დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

მუხლი 14. ფაკულტეტის დებულების მიღების, გაუქმების, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. ფაკულტეტის დებულებას დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

2. ფაკულტეტის დებულების დამტკიცებას, გაუქმებას, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანას ახორციელებს წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის დებულებით, წარმომადგენლობითი საბჭოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებანი

წინამდებარე დებულების დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ, ხოლო შემდგომში მისი დამტკიცება და ცვლილებების შეტანა განხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ წინამდებარე დებულების მე-14 მუხლის შესაბამისად.